თავი 13 მართვა და მონიტორინგი

სარჩევი

13 მართვა და მონიტორინგი 13-1
13.1 შესავალი 13-1
13.2 AGT რეგიონის ოპერაციული მართვის სისტემის მიმოხილვა 13-1
13.3 სამშენებლო ფაზის როლები და პასუხისმგებლობები 13-3
13.3.1 BP 13-3
13.3.2 ძირითადი EPC კონტრაქტორი 13-3
13.3.3 სხვა კონტრაქტორები 13-4
13.4 სამშენებლო ფაზის ESMS 13-4
13.4.1 შესავალი 13-4
13.4.2 ESMS ჩარჩო დოკუმენტი 13-5
13.4.3 დაგეგმვა 13-6
13.4.4 შესრულება 13-6
13.4.5 შემოწმება 13-11
13.4.6 მოქმედება 13-12
13.5 ESMS ექსპლუატაციის ფაზა 13-12
13.6 დასახლების განვითარების ინიციატივა (CDI) 13-13

ცხრილები

ცხრილი 13-1 BP-ს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმები 13-7

სურათები

სურათი 13-1: AGT რეგიონის საოპერაციო მართვის სისტემის ჩარჩო 13-2
სურათი 13-2: WREP-SR პროექტის ESMS ელემენტები 13-4
სურათი 13-3: WREP-SR პროექტის ESMS ციკლი 13-5

13 მართვა და მონიტორინგი

13.1 შესავალი

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის პროექტის (WREP), ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების (HGA) და მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულების (PCOA) ფარგლებში BP ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი (BP), როგორც ოპერატორი კომპანია (საქართველოს მილსადენის კომპანიის (GPC) სახელით) პასუხისმგებელია WREP-ის სამუშაოებთან დაკავშირებულ ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვაზე, პროექტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაზე და პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. წინამდებარე თავში წარმოდგენილია სისტემის ზოგადი მიმოხილვა, რომლითაც მოხდება WREP-SR პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვა.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვა სამშენებლო ფაზის განმავლობაში ხორციელდება სამშენებლო ფაზის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სისტემის (ESMS) დანერგვით.

სამშენებლო ფაზის დროს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებების მართვა განხორციელდება სამშენებლო ფაზის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სისტემების (ESMS) საშუალებით.

ექსპლუატაციის ფაზის დროს მილსადენის ახალი მონაკვეთები ინტეგრირებული იქნება WREP სისტემის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის არსებულ სისტემაში. ქვეთავი 13.4 მოკლედ აღწერს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის ღონისძიებებს ექსპლუატაციის ფაზაზე, პროექტის დასრულების შემდეგ.

13.2 AGT რეგიონის ოპერაციული მართვის სისტემის მიმოხილვა

აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის (AGT) რეგიონი მართავს BP-ს ოპერაციებს საქართველოში და აქვს ოპერაციული მართვის დამკვიდრებული სისტემა (OMS). OMS წარმოადგენს პროცესების სტრუქტურირებულ ერთობლიობას, რომლებიც შემუშავებულია მილსადენის უსაფრთხო, წესების შესაბამისი და სანდო ექსპლუატაციისთვის. ეს სისტემა ქმნის სტრუქტურირებულ ჩარჩოს ორგანიზაციის მიერ ჯანმრთელობის უსაფრთხოების, უშიშროების და გარემოს (HSSE) დაცვის განხორციელებისთვის და მოიცავს ექვს ძირითად საფეხურს, რომლებიც ქვემოთაა მოცემული (იხ. სურათი 13-1):

- განზრახვა
- რისკის შეფასება და პრიორიტეტების განსაზღვრა
- დაგეგმვა და კონტროლი
- განხორციელება და ექსპლუატაცია
- გაზომვა, შეფასება და გამოსასწორებელი ღონისძიებების ჩატარება
- მართვის გადახედვა და გაუმჯობესება.

ექსპლუატაციის ფაზის AGT რეგიონის OMS-ის გარემოსდაცვითი ნაწილი სერტიფიცირებულია ISO 14001 სტანდარტით, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს მართვის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტს.

AGT OMS-ის ექვსი საფეხურის შესაბამისად, BP-მ შეიმუშავა პრინციპები ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვასთან დაკავშირებული იმ საქმიანობებისთვის, რომლებზეც ის პასუხისმგებელია:

- დაგეგმვა - ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედების წინასწარი შეფასება
- შესრულება - პროექტის და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანია თავიდან აიცილოს, შეამციროს ან მინიმუმამდე შეამციროს პოტენციურ ზემოქმედება
- შემოწმება - განხორციელებული შემარბილებელი ღონისძებების შესრულებისა და ეფექტურობის მონიტორინგი
- მოქმედება - გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელების აუდიტი და მეთვალყურეობა.

სურათი 13-1: AGT რეგიონის საოპერაციო მართვის სისტემის ჩარჩო

13.3 სამშენებლო ფაზის როლები და პასუხისმგებლობები

13.3.1 BP

WREP-SR პროექტის დეტალურ საინჟინრო პროექტზე, შესყიდვებზე, მშენებლობასა და ექსპლაუტაციაში გაშვებაზე BP არის პასუხისმგებელი. შესაბამისად, BP წინამდებარე თავში მოხსენიებულია პროექტის პასუხისმგებლობების აღწერისას.

BP უზრუნველყოფს WREP-SR პროექტის სამშენებლო ფაზაზე კონტრაქტორთა ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური სამუშაოების მონიტორინგს და აუდიტს. BP-ს პროექტის ჯგუფი მოიცავს მრჩევლებს გარემოს დაცვის და სოციალურ სფეროშ, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებს (CLO-ებს) და კულტურული მემკვიდრეობის ოფიცრებს.

BP შეიმუშავებს და განახორციელებსWREP-SR პროექტის სამშენებლო ფაზის ESMS რომელიც მოიცავს:

- BP-ს მიერ შექმნილ ვალდებულებათა რეესტრს, სადაც ჩამოთვლილია ESIA-ში მოცემული ყველა ის ვალდებულება, რომელიც ნაკისრია სამშენებლო ფაზაზე
- იმ კანონმდებლობის ჩამონათვალს, რომელიც ეხება WREP-SR პროექტს
- ბუნებრივი და სოციალური გარემოს მონიტორინგის და მართვის გეგმას (ESMMP), რომელიც მიეწოდებათ კონტრაქტორებს და საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და განახლდება, რამდენადაც დოკუმენტი განიცდის მუდმივ გაუმჯობესებას
- გარემოსდაცვითი ღონისძიებების მონიტორინგის, შემოწმების და აუდიტის განრიგს, რომელიც მოიცავს კონტრაქტორების შემოწმებას, რათა ისინი აკმაყოფილებდნენ ESMMP-ში აღნიშნულ მოლოდინს
- საქმიანობაზე სამეთვალყურეო სისტემის დანერგვას, რათა მოხდეს შემოწმების და აუდიტის შედეგად მიღებული დასკვნების მონიტორინგი და ასევე შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებას.

13.3.2 ძირითადი EPC კონტრაქტორი

ძირითადი საინჟინრო დაპროექტების, შესყიდვების და მშენებლობის (EPC) კონტრაქტორი სრულად უნდა შეესაბამებოდეს BP-ს სამშენებლო ფაზის ESMS-ის იმ ასპექტებს, რომლებიც შედის მათი საქმიანობის ფარგლებში. კონტრაქტი EPC კონტრაქტორს მოსთხოვს პროექტისთვის საკუთარი ESMS-ის შემუშავებას, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს BP-ს პროექტის სამშენებლო ფაზის ESMS-თან. კონტრაქტორის ESMS უნდა მოიცავდეს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმებს და პროცედურებს, რომლებიც გაითვალისწინებს წინამდებარე ESIA-ში ნაკისრ ვალდებულებებს (დანართი E) და რომელთა წარმოდგენა ხელშეკრულების ნაწილის სახით ხელშეკრულებით სავალდებულო იქნება.

მთავარი EPC კონტრაქტორი ვალდებული იქნება სრული განაკვეთით დაიქირაოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გარემოსდაცვითი და სოციალური ჯგუფი, რომელიც მოახდენენ ESIA-ში მოცემული გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების განხორციელებასა და მონიტორინგს. ჯგუფი უნდა შედგებოდეს მინიმუმ მრჩევლებისგან გარემოს დაცვის და სოციალურ სფეროში და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერებისგან.

13.3.3 სხვა კონტრაქტორები

სხვა კონტრაქტორები ვალდებულნი არიან შექმნან ბუნებრივი/სოციალური გარემოს მენეჯმენტის გეგმები და პროცედურები, რომლებიც დაკავშირებული იქნება მათი სამუშაოს სფეროსთან და მოახდინონ პროექტის შესაბამისი პერსონალით უზრუნველყოფა (მაგ. საველე ეკოლოგები, არქეოლოგები).

13.4 სამშენებლო ფაზის ESMS

13.4.1 შესავალი

BP-ს და კონტრაქტორების მიერ შემუშავებული პროექტის ESMS გამოყენებული იქნება წინამდებარე ESIA-ს ვალდებულებათა რეესტრში (დანართი E) მითითებული გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესასრულებლად და სამშენებლო ფაზაზე პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულების კოორდინირებისა და გადასინჯვისთვის.

ქვემოთ მოცემულია BP-ს და მთავარი სამშენებლო კონტრაქტორების ESMS-ს შორის არსებული კავშირები და ინტერფეისის მიმოხილვა (იხ. სურათი 13-2):



სურათი 13-2: WREP-SR პროექტის ESMS ელემენტები

BP-ს ESMS ჩამოაყალიბებს მშენებლობის დროს ბუნებრივი და სოციალური გარემოს საკითხების მართვის ჩარჩოს და ასევე ჩამოაყალიბებს AGT რეგიონისOMS-ის ნაწილს. კონტრაქტორთა ESMS წარმოადგენს მათი ვალდებულებების შესრულების დეტალურ აღწერას. სამშენებლო ESMS თავსებადი უნდა იყოს ISO 14001 სტანდარტებთან, თუმცა ISO 14001 სერტიფიკატი სავალდებულო არ არის.

პროექტის ESMS ფოკუსირებული იქნება იმ მთავარ მექანიზმებზე, რომლითაც მოხდება ESIA ვალდებულებების შესრულება, განსაკუთრებულად მხედველობაში მიღებული იქნება შემდეგი საკითხები:

- პერსონალის პრაქტიკული ტრეინინგი და ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხთა ზედამხედველობა და მონიტორინგი ველზე
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება პროექტის განხორციელების პერიოდში.

BP-ს ESMS და სამშენებლო კონტრაქტორთა ESMS უნდა იყოს პროექტის მასშტაბის თანაზომიერი და ფოკუსირება მოახდინოს იმ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად, რათა არ მოხდეს პროექტის გადატვირთვა ზედმეტად დეტალიზებული სისტემებით.

13.4.2 ESMS ჩარჩო დოკუმენტი

ყოველ ESMS-ს ერთვის ზოგადი დოკუმენტი, მაგ., ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სისტემის უმთავრეს ელემენტებს.

ქვემოთ წარმოდგენილია პროექტის ESMS-ის „დაგეგმვა-შესრულება-შემოწმება-მოქმედება“ ციკლის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა (იხ. სურათი 13-3). ამ დოკუმენტით ძირითად პერსონალს შორის დამყარდება ურთიერთგაგება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სურათი 13-3: WREP-SR პროექტის ESMS ციკლი

13.4.3 დაგეგმვა

მოცემული ციკლის „დაგეგმვის“ სტადიაზე ხდება პროექტის საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირება, მაგ., ESIA-ს პროცესში, რაც შემდეგ აისახება პროექტის ვალდებულებების რეესტრში. დაგეგმვა ასევე მოიცავს საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნათა იდენტიფიცირებას (მაგ. საკანონმდებლო და სანებართვო რეესტრის შემუშავება).

პროექტის ESIA ვალდებულებათა რეესტრი (იხ. დანართი E) აღნუსხავს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშვა პროექტის ESIA მრავალმხრივ პროცესში. ვალდებულებათა რეესტრი აღრიცხავს ყოველ ვალდებულებას, რომელიც განხორციელდება მართვის ციკლის „შესრულების“ სტადიაზე, ESMMP-ს შესაბამისი გეგმისთვის და განმარტავს განხორციელების გეგმის შექმნა BP-ს ვალდებულებაა თუ კონტრაქტორის. ექსპლუატაციის ფაზის ვალდებულებები განსაზღვრულია BP-ს საოპერაციო ESMS-ით . ვალდებულებათა რეესტრი დოკუმენტია, რომლის განახლებასაც BP გეგმავს პროექტის განხორციელების პროცესში.

13.4.4 შესრულება

ციკლის „შესრულების“ საფეხური ასახავს სამშენებლო ფაზის ESMS-ის განხორციელებას და ამ საფეხურის ძირითად კომპონენტებს:

- სტრატეგია და ჩარჩო დოკუმენტები
- BP ESMMP
- კონტრქატორის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმები და პროცედურები.

BP ისარგებლებს ცვლილებების მართვის პროცედურით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ის, რომ საბოლოო პროექტირების და სამშენებლო ფაზის დროს განხორციელებული ყველა ცვლილება დეტალურად იქნება შესწავლილი და რომ ბუნებრივი გარემოს, სოციალური გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი შედეგი იდენტიფიცირებული, მიღებული და გათვალისწინებულია.

ESMMP

BP-ს სამშენებლო ფაზის ESMS მოიცავს ESMMP, რომელშიც აღწერილი იქნება შემდეგი საკითხები:

- შესაბამისობის მოთხოვნები;
- BP-ს და მშენებლობის და მონტაჟის ძირითადი კონტრაქტორების ფუნქციები და პასუხისმგებლობები;
- ქმედებები, რომლებიც საჭიროა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად და/ან შესარბილებლად და ESIA ვალდებულებების შესასრულებლად; და
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული საქმიანობების მონიტორინგის და ანგარიშგებისთვის შემოწმების პროცესის განხორციელება, რომელიც მოიცავს ინსპექციას, აუდიტს და მონიტორინგის პროგრამებს, როგორიცაა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ქარხნის მუშაობის მონიტორინგი.

სამშენებლო კონტრაქტორებს ESMS-ის ფარგლებში მოეთხოვებათ შეიმუშავონ ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმები და პროცედურები, რომლებიც

შესაბამისობაშია BP-ს მოთხოვნებთან (იხ. ცხრილი 13-1) და წარმოადგინონ შესაბამისი ESIA ვალდებულებების შესრულების და მონიტორინგის დეტალური აღწერა. სამშენებლო კონტრაქტორები მათ ბუენბრივი და სოციალური მართვის გეგმებს და პროცედურებს მშენებლობის დაწყებამდე დასამტკიცებლად წარუდგენენ BP-ს.

ცხრილი 13-1 BP-ს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის გეგმები

გეგმა	გეგმაში ჩართული საკითხები
აღდგენის გეგმა	• ნიადაგისა ზედა და ქვედა ფენის მართვა • ეროზიის კონტროლი მშენებლობის განმავლობაში (მაგ. გადაკვეთები, ციცაბო ფერდობები, თხრილების შემაკავებლები) და მშენებლობის დასრულების შემდეგ • სამშენებლო დერეფნის და მდინარის გადაკვეთების აღდგენა წინასწარ შემუშავებული წესით • შეთესვა და ეროზიის საწინააღმდეგო ჯვალოს გადაფარება
ეკოლოგიური მართვის გეგმა	• ეკოლოგიური ტრეინინგი • დაცულ სახეობათა მდებარეობა და სენსიტიური ადგილები • წინასამშენებლო ეკოლოგიური კვლევები • ჰაბიტატების და სახეობების დაცვა მშენებლობამდე და მშენებლობის დროს (მაგ. სამუშაოს ფართობის სიგანის შეზღუდვა, გადარგვა, სეზონური სენსიტიურობის თავიდან აცილება, ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა, ქცევის კოდექსი, წყლის გარემოს დაცვა) • ბიოაღდგენა (მაგ. მცენარეული საფარის აღდგენა, თესლის სელექცია და შეძენა, თესვის მეთოდები, თესლის შეგროვება, გადარგვა) • მონიტორინგი და ანგარიშის წარდგენა
ნარჩენების მართვის გეგმა	• ნარჩენების მართვის ტრეინინგი • ნარჩენების იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია • ნარჩენთა იერარქია და მათი მინიმიზაციის სტრატეგია (მაგ. წყაროების შემცირება, ხელახალი მოხმარება, გადამუშავება, ენერგიის რეგენერაცია, ნარჩენების პასუხისგებით განთავსება) • ნარჩენების დამუშავება (მაგ, შეგროვება, სეგრეგაცია და კონტეინერები, შენახვა და დამუშავება, ტრანსპორტირება და დოკუმენტირება, განთავსება) • მონიტორინგი და ანგარიშის წარდგენა
დაბინძურების პრევენციის გეგმა	• დაბინძურების პრევენციის ტრეინინგი • ენერგოეფექტურობა (სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის შერჩევა და შენარჩუნება) • ემისიების და მტვრის მართვა (მაგ. სატრანსპორტო საშუალებების, აღჭურვილობის და და გენერატორების გამონაბოლქვი, მტვრის მართვა) • ჩამდინარე წყლების მართვა (მაგ. წყლის ჩადინება, თხრილის ამოშრობა, ჰიდროტესტის წყლის განთავსება და

გეგმა	გეგმაში ჩართული საკითხები
	ჰიდროტესტის წყალში ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენება, სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის გარეცხვა) • ჩამდინარე წყლის დამუშავება და განთავსება • ხმაურისა და ვიბრაციის მართვა • ნავთობისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა (მაგ. შენახვა, მოპყრობა და ავარიული დაღვრის თავიდან აცილება) • დაბინძურებული ნიადაგის დამუშავება • საშიში თხევადი ნარჩენების მართვა • მონიტორინგი და ანგარიშის წარდგენა
რესურსების მართვის გეგმა	• ტრეინინგი (ენერგოეფექტურობისა და წყლის გამოყენების მინიმიზაციის ჩათვლით) • ინერტული მასალების მართვა (მოთხოვნათა შეფასება, კარიერები და მცირე ზომის კარიერები იდენტიფიკაცია, ტრანსპორტირება, მესამე მხარეთა კონტროლი) • წყლის მართვა (წყლის მიწოდება, ჰიდროტესტისთვის წყალაღება)
ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მართვის გეგმა	• ინფრასტრუქტურის დაზიანება (ტრანსპორტი, ელექტროგაყვანილობა; ირიგაცია) • პროექტის განხორციელებისას დასახლებების ინფრასტრუქტურის დაზიანებისგან დაცვა და შეკეთება • საზოგადოებისა და ინდივიდებისთვის მიყენებული ზიანის მართვა
დასახლებების მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფ-რთხოების გეგმა	• მუშებისა და დასახლებული პუნქტების მოსახლეობის ურთიერთქმედება (მაგ. გადამდებ დაავადებათა გავრცელება) • სამშენებლო უბნების მართვა (მაგ. სამშენებლო დერეფანთან მისასვლელი, ღია თხრილის პრინციპი) • სატრასნპორტო მოძრაობის უსაფრთხოება (მაგ. ტრანსპორტის ნაკადის კონტროლი სოფლებში)
საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმა	• საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერის (CLO) მოთხოვნები • ადგილობრივ მოსახლეობასთან, მიწის მესაკუთრეებთან და მიწით მოსარგებლეებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება (მაგ. შეხვედრები, საჩივრების მართვის პროცედურები) • დასახლების ხელმისაწვდომობა

გეგმა	გეგმაში ჩართული საკითხები
ადგილობრივი კადრების შერჩევის და ტრეინინგის გეგმა	• მშენებლობის ფაზისთვის ადგილობრივი კადრების შერჩევა • უნარები და HSE ტრეინინგი (მთელი პერსონალისათვის)
შესყიდვების და მიწოდების გეგმა	• ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მაქსიმიზება • შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობა
კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა	• კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზემოქმედების თავიდან აცილების უზრუნველყოფა • შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარება იქ, სადაც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია • კულტურული მემკვიდრეობის ადგილების დაცვა მშენებლობის დროს • მონიტორინგი და შედეგის შესახებ ანგარიშის წარდგენა
მიწის მართვის გეგმა	• დამატებითი მიწის შეფასება • ნარჩენების ლიკვიდაციის ადგილები და კარიერები • მიწის შეძენის და კომპენსაციის გადახდის მოთხოვნები • მონიტორინგი და ანგარიშის წარდგენა

ტრენინგი

ESMS ციკლის „შესრულების“ სტადიაზე ESIA-ს ვალდებულებების მისაწოდებლად ტარდება ფუნდამენტური ტრეინინგი.

WREP-SR პროექტის სამშენებლო საქმიანობა შედარებით ხანმოკლე იქნება, ამიტომ ეფექტური ტრეინინგისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების დასაწყისშივე დამკვიდრება. ტრეინინგის ძირითადი აუცილებელი ელემენტებია:

- ბრიფინგები პროექტის მენეჯმენტისთვის
- შესავალი ტრეინინგი BP-ს, კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორის პერსონალისათვის
- ინსტრუქტაჟი.

მენეჯმენტის ბრიფინგები

ბუნებრივი და სოციალური გარემოს საკითხებზე ტრეინინგი BP-ს პროექტის მენეჯმენტს მიაწვდის ზოგად მიმოხილვას BP-ს სამშენებლო ფაზის ESMS-ის შესახებ და ინფორმაციას ფუნქციების და პასუხისმგებლობების შესახებ.

კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ჩატარებული მეორე ტრეინინგი უზრუნველყოფს იმას, რომ BP-ს პროექტის მენეჯმენტი და სამშენებლო კონტრაქტორის ხელმძღვანელობა

ESMMP მოთხოვნების განხორციელებისას იხელმძღვანელებს კოორდინირებული მიდგომით და ხელს შეუწყობს BP-ს განზრახვას კარგად განახორციელოს გარემოსდაცვითი საქმიანობა და დაამყაროს კარგი ურთიერთობა დასახლებული პუნქტების მოსახლეობასთან.

შესავალი ტრეინინგი

მთელ სამშენებლო პერსონალს ჩაუტარდება შესავალი კურსი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესახებ, რითიც ყველასთვის განმარტებული იქნება ძირითადი მოთხოვნები სამშენებლო უბანზე. შესავალი კურსი ფოკუსირდება ვიზუალურ პრეზენტაციაზე (გრაფიკები, ილუსტრაციები, დიაგრამები, ფოტოსურათები და ა.შ.) და მოიცავს მარტივ, გასაგებ გზავნილებს.

ინსტრუქტაჟი

სამშენებლო კონტრაქტორის მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის გარდა, რომელიც წარმოადგენს უნარ-ჩვევების გამომუშავების ტრეინინგის შემადგენელ ნაწილს, BP-ს მრჩევლები გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერები (CLO) და კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი ოფიცერები ჩაატარებენ გასაუბრებას კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორის პერსონალთან, რათა გააცნონ მათ BP-ს ESIA ვალდებულებები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მათი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების თავიდან აცილება და/ან შერბილება, კერძოდ მაშინ როცა ზემოქმედება პოტენციურად მნიშვნელოვანია ან როცა მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული შესავალ კურსში. ეს გასაუბრებები შეიძლება ჩატარდეს პერსონალთან, რომელსაც ეხება შემდეგ საკითხები:

- მშენებლობის დაწყებამდე ხდება უკანონოდ დაყრილი ნარჩენების მოცილება და დაბინძურებული ნიადაგის გაწმენდა
- სამშენებლო დერეფნის (RoW) მომზადება (რაც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ადგილობრივ დასახლებებთან მიწის მფოლბელებთან კონსულტაციები, იმ შემთხვევაში თუ საჭიროა ალტერნატიული მისასვლელი; მიწათმფლობელების უფლებების პატივისცემა; არქეოლოგიური დაკვირვება; შემოღობვა საზოგადოების დაცვის მიზნით; სამშენებლო დერეფნის და სამშენებლო ტერიტორიაზე შეღწევის და სენსიტიურ რეცეპტორთა შემთხვევითი დაზიანების თავიდან აცილება, ნიადაგის ზედა ფენის სწორი შენახვა და სენსიტიური ფაუნის გადაადგილება)
- მილსადენის თხრილში ჩადება და გაყვანა (მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც ეხება დატკეპნვის, ზედაპირის მოსწორების და ნიადაგის ზედა ფენის გადანაცვლების პროცედურებს; დასახლებების უსაფრთხოებას)
- რკინიგზის, გზის და მდინარის გადაკვეთების მშენებლობა (მოიცავს ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა ამ ტერიტორიაზე მშენებლობის და აღდგენისთვის დაბინძურების გაფართოებული და გაძლიერებული კონტროლის აუცილებლობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელ ტრეინინგებს, განსაკუთრებით მდინარის გადაკვეთის ადგილებზე)
- ჰიდროსტატიკური ტესტირება (მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა დაბინძურების თავიდან აცილება და ეროზიის კონტროლი; წყლის ჩაშვების შემოთავაზებული წერტილებიდან მდინარის დინების მიმართლებით არსებულ ადგილობრივ დასახლებებთან კონსულტაციები)
- მილსადენის ნავთობისგან დაცლა (მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა დაბინძურების პრევენცია და ნავთობის დაღვრაზე რეაგირება)

- სატრანსპორტო საშუალებების მართვა (მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამანქანო გზები, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო მართვა; მისასვლელ გზებზე სიჩქარის ლიმიტები და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება)
- საწვავით შევსება
- სახიფათო მასალების მართვა/გადატანა.

13.4.5 შემოწმება

მონიტორიგი, შემოწმება, ანგარიშის წარდგენა და აუდიტი

სამშენებლო სამუშაოების დაწყებასთან ერთად ამოქმედდება ბუნებრივი და სოციალური გარემოს მონიტორინგის პროგრამა და გაგრძელდება მშენებლობის ფაზის განმავლობაში, განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობის შესაფასებლად. ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის მოთხოვნების შეჯამება წარმოდგენილია დანართ D-ში.

მშენებლობის კონტრაქტორს მოეთხოვება ჩაატაროს რეგულარული (მაგ. ყოველკვირეული) დოკუმენტირებული შემოწმება; მაგალითად საჭირო იქნება ისეთი ყოველდღიური მოვლენების შემოწმება, როგორიცაა ჰაერის დაბინძურება, ნარჩენების შენახვა და ტრანსპორტის მოძრაობა. კონტრაქტორის მართვის გეგმები და პროცედურები მოიცავს სამაგალითო ფორმებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შემოწმების დასკვნების შესახებ გაკეთდა ჩანაწერი და შესაბამისი წესით, ანგარიშის სახით წარედგინება BP-ს. გარდა ამისა, ზოგიერთი მოთხოვნა (მაგ. სამშენებლო დერეფნის სიჩქარის შეზღუდვების მკაცრი დაცვა) საუკეთესოდ მოწმდება არაფორმალური ყოველდღიური დაკვირვებით, რომელიც ხორციელდება პერსონალის სამუშაოზე გასვლისას.

ESMS მიერ მოთხოვნილი მოხსენებების მოცულობა პროექტის მასშტაბისა და ხანგრძლივობის თანაზომიერი იქნება. სამშენებლო კონტრაქტორი შეადგენს კომბინირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ ანგარიშს ყოველთვიურად და გადასცემს მას BP-ს განსახილველად. მოხსენება შეიცავს:

- მონაცემებს (მაგ. ნარჩენთა მოცულობა, ტიპები და განთავსება; მიღებული და გადაწყვეტილი საჩივრები)
- ჩატარებულ სამუშაოებს (მაგ. კვლევები, გადაადგილება, შეხვედრები მოსახლეობასთან, სამშენებლო უბნის შემოწმება და დასკვნები)
- შემოწმების დროს აღმოჩენილ შეუსაბამობებს
- სამუშაოების დროს წამოჭრილ ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშრებულ საკითხებს (მაგ. დაბინძურებული მიწის აღმოჩენა, არქეოლოგიური აღმოჩენები, ეკოლოგიური პრობლემები).

მშენებლობის კონტრაქტორები მოამზადებენ და BP-ს წარუდგენენ ინდივიდუალურ ანგარიშებს გარემოსდაცვითი ან სოციალური ყოველი „ინციდენტის“ და „პოტენციური ინციდენტის“ შემდეგ (მაგ. დაღვრა, დაბინძურების ინციდენტები, ბუნებრივი გარემოს დაზიანება, ავარიები, საჩივრები დასახლებებიდან ან მეზობლებისგან).

BP და სამშენებლო კონტრაქტორი ჩაატარებენ აუდიტს, რათა დააკვირდნენ ESIA ვალდებულებათა მიმდინარეობას და განხორციელებას და ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობას, რომლებიც ხორციელდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. ამ აუდიტის განრიგი განისაზღვრება

კონტრაქტის დადების შემდგომ, მაგრამ მისი მიზანი იქნება კონტრაქტორის ESMS-ს ყველა ელემენტის შემოწმება სამშენებლო ფაზის განმავლობაში. ცალკეული ვალდებულებების აუდიტის სიხშირე რეგულარულად იქნება გადასინჯული და შესწორდება აუდიტის შედეგად გაკეთებული დასკვნების შესაბამისად.

BP ასევე ჩაატარებს იმ საკითხების დაუგეგმავ შემოწმებებს, რომლებიც გაირკვევა, რომ პრობლემატურია.

13.4.6 მოქმედება

გამოსასწორებელი ღონისძიება

ქვეთავში 13.4.5 აღწერილი შემოწმების და აუდიტის პროცესი დოკუმენტირებული იქნება შეუსაბამობათა შესახებ ანგარიშებში (NCR) და გამოსასწორებელი ღონისძიებების მოთხოვნებში (CAR). BP და მშენებლობის კონტრაქტორი ერთად შეიმუშავებენ და შეინარჩუნებენ ღონისძიებების სამეთვალყურეო სისტემას NCR-ების და CAR-ების საპასუხოდ ჩატარებული ქმედებების ეფექტურობის მონიტორინგისთვის.

BP-ს მრჩევლები გარემოსდაცვით საკითხებში, CLO-ები და კულტურული მემკვიდრეობის მონიტორები მოახდენს განხორციელებული გამოსასწორებელი ღონისძიებების მონიტორინგს და მიაწვდის განახლებულ ინფორმაციას BP-ს მშენებლობის მენეჯერს და BP-ს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერს იმ შეუსაბამობების შესახებ, რომლებიც მოითხოვენ შემდგომი ქმედებების ჩატარებას.ესაჭიროებათ.

13.5 ESMS ექსპლუატაციის ფაზა

BP მოახდენს WREP მილსადენის სისტემის, საკომპრესორო სადგურების, წნევის მარეგულირებელი სადგურების და ჩამკეტი სარქვლის სადგურების ოპერირებას, ISO 14001 სერტიფიცირებული ESMS-ის გამოყენებით.

არსებული ESMS პროცედურები საჭიროებისამებრ იქნება განხილული და შესწორებული, რათა მოიცვას WREP-ის მოქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება WREP-SR პროექტის განხორციელების პროცესში.

უფრო კონკრეტულად, WREP-ის ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა (OSRP) განიხილება და შესწორდება მილსადენის ახალი მარშრუტის ადგილმდებარეობისა და ნავთობის დაღვრებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გამოვლენის თვალსაზრისით. აღნიშნული სენსიტიურობების საპასუხოდ, ასევე, გადაისინჯება შეკავების სახელმძღვანელო და დაღვრაზე რეაგირების მოწყობილობების ადგილმდებარეობა.

BP-ს AGT რეგიონი ახორციელებს ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის პროგრამას (EMP), რომელიც შემუშავებულია გრძელვადიან პერიოდში თანმიმდევრული მონაცემების მისაღებად; პროგრამის მიზანია გარემომცველ ბუნებრივ გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შესახებ სწორი სურათის შექმნა, რათა შესაძლებელი იყოს ამ ზემოქმედებების მართვა და შერბილება, რამდენადაც შესაძლებელია ეფექტურად.

EMP-ს აქვს 10 წლიანი განრიგი; მონიტორინგის დეტალური გეგმები მზადდება შემდეგი 3 წლისთვის, სადაც ასევე მოცემულია შემდგომი 7 წლის გეგმაც. ეს მიდგომა იძლევა პროგრამის პროგრესული და სისტემატიური ცვლილების შესაძლებლობას, რათა გათვალისწინებული იქნას პროგრამის მიმდინარე დასკვნები.

ექსპლუატაციის ფაზაზე WREP-SR პროექტი მოექცევა WREP-ის EMP-ის ფარგლებში.

13.6 დასახლების განვითარების ინიციატივა (CDI)

BP და პროექტის მონაწილეები BTC, SCP, SD და ACG პროექტების ფარგლებში ნერგავენ დასახლებათა განვითარების ფართო ინიციატივას - CDI (ადრე მას ეწოდებოდა დასახლებათა ინვესტირების პროგრამა - CIP) სხვადასხვა მილსადენის გასწვრივ მდებარე დასახლებებში. BP-ს CDI-ის პროგრამის მიზანია მაქსიმალურად გაზარდოს BP-ს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებისთვის პროექტიდან მიღებული სარგებელი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით; ეს სარგებელი მნიშვნელოვანია და წვლილს შეიტანს დასახლებების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარებაში. პროგრამის მიზანია რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესებში დასახლებების ჩართვის გაადვილება და იმ დასახლებებისთვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რომელთა საშუალებითაც ისინი მიაღწევენ თავის პრიორიტეტულ მიმართულებებს და განვითარების მიზნებს.

BP-ს და პროექტის მონაწილეთა ვალდებულების გათვალისწინებით, მხარი დაუჭირონ დასახლებათა ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, რაც ეფუძნება დაინტერესებული მხარეების განვითარების სტრატეგიას, მიღებული იქნა გადაწყვეტილება მილსადენთა გასწვრივ მდებარე დასახლებათა განვითარების ინიციატივისათვის მხარდაჭერის გაგრძელების შესახებ.